

## დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარსადგენი საბუთების ნუსხა

დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა გაიაროს ონლაინ რეგისტრაცია ვებგვერდზე: [www.register.gtu.ge](http://www.register.gtu.ge) ან შესაბამის ფაკულტეტზე.

წარსადგენი საბუთების ნუსხა:

1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის ან ID ბარათის) ასლი;
2. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი) ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან შესაბამისი უსდ-ის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ცნობა მინიჭებული კვალიფიკაციის შესახებ;
3. მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV); სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული აქტივობების (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.) მითითების შემთხვევაში, დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა ატვირთოს აღნიშნული მასალის ასლები;
4. სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი;
5. 2 ფოტოსურათი, ზომით 3 x 4 სმ, CD დისკი.

მინდობილი პირის მიერ საბუთების წარმოდგენის შემთხვევაში, მინდობილმა პირმა უნდა წარმოადგინოს ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

საჭიროების შემთხვევაში, აპლიკანტი ვალდებულია წარმოდგენილ დოკუმენტაციას დაურთოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა, რითაც დასტურდება მისი უფლება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესახებ.

ყველა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი დოქტორანტმა აგრეთვე უნდა წარმოადგინოს დეკანატში ნაბეჭდი სახით, სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა.